# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

28 ნოემბერი
ხუთშაბათი
2024 წელი
№48 (9362)
ფასი 40 თეთრი

## საქართველოს პარლამენტი მუშაობას შეუდგა



**25 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის მეთერთმეტე მოწვევის პირველი პლენარული სხდომა გაიმართა.**

ამ სხდომაზე მიწვეული არ ყოფილან საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები, შეზღუდული იყო მედიის მუშაობაც.

პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, პირველ სხდომაზე პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში, სხდომა პარლამენტის უხუცესმა წევრმა, ,,ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა **ლადო კახაძემ** გახსნა.

სხდომას არ დასწრებია ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. ოპოზიცია 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგებს არ აღიარებს, არჩევნებს გაყალბებულად მიიჩნევს და პარლამენტის შენობასთან საპროტესტო აქციას მართავს.

სხდომაზე მოისმინეს ცესკოს თავმჯდომარის **გიორგი კალანდარიშვილის** ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნები კანონის სრული დაცვით ჩატარდა. პარლამენტმა დაამტკიცა არჩევნების თაობაზე წარმოდგენილი დასკვნა.

,,ქართულ ოცნებას“ ცესკოს შედეგებით მიღებული 89 მანდატი აქვს და უფლებამოსილია პარლამენტმა სრულყოფილად იფუნქციონეროს.

პარლამენტის პირველ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს **შალვა პაპუაშვილი**, პირველ მოადგილედ **გიორგი ვოლსკი**, მოადგილეებად **თეა წულუკიანი** და **ნინო წილოსანი** აირჩიეს.

**მეთერთმეტე მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომაზე 16 კომიტეტის თავმჯდომარე აირჩიეს.**

დეპუტატებმა აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ **გელა სამხარაულს** დაუჭირეს მხარი.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს **რატი იონათამიშვილი** უხელმძღვანელებს;

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე **გივი მიქანაძე** აირჩიეს.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე მ**აია ბითაძეს** დაუჭირეს მხარი;

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს **შოთა ბერეკაშვილი** უხელმძღვანელებს;

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტს - **ირაკლი ზარქუა**;

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს - **ლევან მახაშვილი**;

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს - **ალექსანდრე ტაბატაძე**;

იურიდიულ საკითხთა კომიტეტს - **გიორგი კახიანი**;

კულტურის კომიტეტს - **გიორგი გაბუნია**;

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტს - **ირაკლი ქადაგიშვილი**, ხოლო საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს - **ნიკოლოზ სამხარაძე** უხელმძღვანელებენ.

რაც შეეხება საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე **დავით მათიკაშვილი** აირჩიეს; საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარედ კი **პაატა კვიჟინაძეს** დაუჭირეს მხარი.

სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ **ვიქტორ სანიკიძე** აირჩიეს, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა კი **ზაზა ლომინაძემ** დაიკავა.

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ **მამუკა მდინარაძემ** აღნიშნა, **გიორგი კახიანი** იურიდიულ საკითხთა კომიტეტს ორი კვირის განმავლობაში უხელმძღვანელებს, შემდეგ კი მას ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე აირჩევენ.

იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობას კი პარლამენტის ახალი წევრი **არჩილ გორდულაძე** დაიკავებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე **მაკა ბოჭორიშვილის**, იუსტიციის მინისტრად - **ანრი ოხანაშვილის**, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრად **დავით სონღულაშვილის** კანდიდატურები წარადგინა.

გვაქვს გარკვეული ცვლილებები მთავრობის შემადგენლობაში, რომელიც შეეხება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროსა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

## ევროპა წყალში ყრის ფულს!

**პარტია ,,ხალხის ძალის“ წევრი თამარ ჩიბურდანიძე ჟოზეფ ბორელის განცხადებას ეხმიანება - ჟოზეფ ბორელმა განაცხადა, რომ იმ ას მილიონს, რომელიც მთავრობისთვის უნდა გადაგვერიცხა, ჩვენს მონა-მორჩილ სამოქალაქო სექტორს გადავურიცხავთო ანუ კვლავ ენჯეოებით სურთ ოპოზიციის დაფინანსება. წარმოიდგინეთ, კიდევ რამდენი ახალი არასამთავრობო შეიქმნება და კიდევ რამდენ ახალგაზრდას გამოულაყებენ ტვინს თავიანთი ფსევდოლიბერალიზმით.**

**როგორც ჩანს, არც ჟოზეფ ბორელს და არც სხვა ევროპელებს კარგად არა აქვთ წაკითხული ,,კანონი უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ“, სადაც საკმარისზე მეტი წერია მათ გასაგებად. თუმცა, ეს პატრონები იმასაც ვერ მიხვდნენ აქამდე, რომ წყალში ყრიან თავიანთი ხალხის ფულს საქართველოში, შედეგზე მაინც ვერ გადიან.**

**ასი მილიარდიც რომ გამოუგზავნონ ამ ოპოზიციას, ესენი მხოლოდ მათი იქნებიან და არა ქართველი ხალხის, ამიტომაც ვერ იგებენ არჩევნებს.**

**გამოუშვან, არ არის პრობლემა. იმ ასი მილიონიდან ოცი მილიონი მაინც საშემოსავლოთი გაჭირვებულ ხალხს მოხმარდება. ჩვენ კი ახალი პოლიტიკური სანახაობების მომსწრე გავხდებით აგენტურ რბოლაში...**

**თამარ ჩიბურდანიძე**

## ოპოზიციამ ევროკავშირს ანტისახელმწიფოებრივი წერილი გაუგზავნა

რადიკალურმა ოპოზიციამ, რომელმაც ევროპარლამენტს გაუგზავნა ,,მამხილებელი“ წერილი საქართველოს დასასჯელად სხვა არაფერია, თუ არა ქვეყნის მოღალატეობრივი ქმედება. წერილში ვკითხულობთ: **გადაიდოს საქართველო-ევროკავშირის ასოცირებული საბჭოს შეხვედრები;**

**შეჩერდეს ყველა მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგი;**

**გაიყინოს ტექნიკური თანამშრომლობის მექანიზმები;**

**შეჩერდეს 120 მილიონი ევროს ოდენობის ყოველწლიური ფინანსური დახმარების გამოყოფა საქართველოსთვის და ეს თანხები გადანაწილდეს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ე.წ. დამოუკიდებელ მედიაზე;**

**შეიქმნას სამოქალაქო ორგანიზაციების პირდაპირი დაფინანსების მექანიზმი.**

**რადიკალები საპარლამენტო არჩევნების არალეგიტიმურად გამოცხადებას და საქართველოსთან ყველა დონეზე ურთიერთობის შეჩერებას მოითხოვენ. ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისთვის გაგზავნილ ანტისახელმწიფოებრივ წერილში ისინი მოუწოდებენ ევროკავშირს 30 დღის განმავლობაში დააინიცირონ სპეციალური მისია.**

**ხელისუფლება არ დაუშვებს ოპოზიციის გეგმების განხორციელებას და ყველაფერს გააკეთებს, რომ ქვეყანაში მშვიდობა შენარჩუნდეს.**

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ისინი არიან რადიკალური ძალები, რომლებიც ქართულ სახელმწიფოებრიობას ებრძვიან, ისინი ბრიუსელში დარბოდნენ, როცა ასოცირების ხელშეკრულებას ვაწერდით ხელს; კაბინეტებში დარბოდნენ, რომ ვიზა-ლიბერალიზაციის პროცესი გაჩერებულიყო; ასევე, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით პირდაპირ ჰქონდათ მოწოდებები, რომ ჩვენ ამ სტატუსს არ ვიმსახურებდით. ისინი არიან მოღალატეები, მათი პოლიტიკა გაჯერებულია სიძულვილით, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებით და ამ ყველაფრის შეფასება ისევ საზოგადოებისთვის მიმინდვია. ალარავისთვის არის უცხო, როგორ ოპოზიციურ ძალასთან გვაქვს საქმე - ქვეყნის და საკუთარი მოსახლეობის ღალატი მათი გაცხადებული პოლიტიკაა.

რასაკვირველია, როგორც აქამდე, არც აწი დავუშვებთ მათი გეგმების განხორციელებას. დღეს ხელისუფლება, რომელსაც აქვს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სრული



მხარდაჭერა, არის ძლიერი და შესწევს უნარი დაიცვას ქვეყანა არეულობისგან. აქვს ძალა, რომ ქვეყანაში მშვიდობა შეინარჩუნოს, შემოტევების და მუქარების მიუხედავად. დაიცვას საქართველოს ინტერესი, ქვეყნის დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება, აღმშენებლობა და წინსვლა.

**კახა კალაძე**

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა



გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი** უძღვებოდა.

საკრებულოს სხდომას მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილიც** ესწრებოდა.

დეპუტატებმა დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები დაამტკიცეს.

მოისმინეს ქალაქ ბორჯომის გენერალური გეგმის კონცეფცია, რომელიც ერთსულოვნად დამტკიცეს;

დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს 2024 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების წარმოდგენილი პროექტი;

დეპუტატებმა მოიწონეს საქართველოს რეგიონებში 2025 წელს განსახორციელებელი ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები;

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის პროექტი;

დეპუტატებმა მოიწონეს და დაამტკიცეს დაბა ბაკურიანში მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) სახელწოდების მინიჭების მოწონების შესახებ.

## მიმდინარეობს ღობეების რეაბილიტაცია



ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკურორტო სოფელ ტიმოთესუბანში ცენტრალური გზის გამყოლი ღობეების რეაბილიტაცია აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში, მოეწყობა ცენტრალური ქუჩების მიმდებარე სახლების ღობეები, ჭიშკრები და რკინა-ბეტონის საყრდენი კედლები.

სამუშაოები ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

საკურორტო სოფლების იერსახის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის უმთავრესი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ მიმართულებით სამუშაოები მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

ბორჯომში, ლიკანის დასახლებაში, მესხეთის ქუჩაზე ცენტრალური გზის გამყოლი ღობეების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.



პროექტის ფარგლებში მოეწყობა ცენტრალური ქუჩების მიმდებარე სახლების ღობეები, ჭიშკრები და რკინა-ბეტონის საყრდენი კედლები.

სამუშაოები ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

აღნიშნული პროექტი ბორჯომის, როგორც საკურორტო ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით, უმნიშვნელოვანესია. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სამუშაოები სხვადასხვა ობიექტებზე დაწყებულია და მომავალშიც გაგრძელდება.

# ნარინჯისფერი კვირეული შემეცნებითი აქტივობებით იქნება დატვირთული

**გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი საერთაშორისო კამპანია 1990-იანი წლების დასაწყისიდან აღინიშნება. იგი საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა მიმართ სოლიდარობის დემონსტრირებას ისახავს მიზნად. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში უკვე წლებია საქართველოშიც იმართება „ნარინჯისფერი კვირეული", რომელსაც რა თქმა უნდა, ბორჯომის მუნიციპალიტეტიც უერთდება. უკვე რამდენიმე წელია შეიქმნა მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც ყოველწლიურად უამრავი სახის ღონისძიებას ახორციელებს. რა სახის ღონისძიებებია დაგეგმილი წლევანდელი „ნარინჯისფერი კვირეულის" ფარგლებში, ამის შესახებ იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში ქალბატონ მაკა მანჯავიძეს** მივმართეთ:




**● ბოლო წლებია მუნიციპალიტეტში გენდერული საბჭო შეიქმნა. რამდენი წევრისგან შედგება აღნიშნული საბჭო და რა სახის საქმიანობას ეწევით?**

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა დამტკიცებულია საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №ბ-17.17213586 განკარგულებით, საბჭო შედგება 17 წევრისგან. საბჭოს საქმიანობა და უფლებამოსილება განსაზღვრულია „ბორჯომის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 თებერვლის №63 დადგენილებით.

**საბჭოს ძირითადი ამოცანაა:**

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ეროვნული სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით შეიმუშაოს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის შესრულების კოორდინაცია;

ბ) განახორციელოს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზი და შეიმუშაოს წინადადებები გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად;

გ) ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის გამორიცხვის მიზნით განიხილოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები, მუნიციპალური პროგრამებისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტები, მოამზადოს შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები;

დ) განახორციელოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შესრულებული ან მიმდინარე მუშაობის მონიტორინგი და შეფასება გენდერული თვალსაზრისით;

ე) უზრუნველყოს საკრებულოში ინიცირებული ნორმატიული აქტების პროექტების ექსპერტიზა გენდერული თანასწორობის შეფასების თვალსაზრისით;

ვ) შეიმუშაოს და დაგეგმოს ცალკეული ღონისძიებები გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის;

ზ) ითანამშრომლოს საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილი გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის საკოორდინაციო უწყებათაშორის საბჭოსთან, მიაწოდოს მათ შესაბამისი ინფორმაცია და წინადადებები; მონაწილეობა მიიღოს გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში;

თ) განიხილოს გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე წარდგენილი განცხადებები, წერილები და სხვა ინფორმაცია, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს მათზე რეაგირება და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები.

**● ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე თუ ახდენთ რეაგირებას და რამდენად ხშირია როგორც ოჯახის წევრი მამაკაცის, ასევე სხვა ოჯახის წევრის მხრიდან ძალადობის ფაქტები?**

- როგორც უკვე აღვნიშნე, საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე წარდგენილი განცხადებებისა და წერილების განხილვა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მათზე რეაგირება. გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021 წლიდან დღემდე მუშაობის პერიოდში არ დაფიქსირებულა განცხადება და არანაირი სახის შეტყობინება ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტზე არ შემოსულა. შესაბამისად არ გვაქვს სტატისტიკური ინფორმაცია თუ რამდენად ხშირია როგორც ოჯახის წევრი მამაკაცის, ასევე სხვა ოჯახის წევრის მხრიდან ძალადობის ფაქტები.

**● 25 ნოემბრიდან ქალთა მიმართ ძალადობის კვირეული იწყება, რომელიც 16-დღიან კამპანიას მოიცავს. რა სახის ღონისძიებებია დაგეგმილი?**

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო ყოველწლიურად უერთდება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან კამპანიას, რომელიც „ნარინჯისფერი კვირეულის" სახელწოდებითაა ცნობილი. არაერთი აქტივობა განხორციელდა გასულ წლებში აღნიშნული კვირეულის ფარგლებში. კამპანიაში მონაწილეობას ყოველთვის ღებულობენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები, მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ-ები, დღის ცენტრი „თებეს" ბენეფიციარები, სასპორტო სკოლისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მოსწავლეები. რა თქმა უნდა, წელსაც ვუერთდებით 16-დღიან კამპანიას. ამ ეტაპზე დაგეგმილია 4 ძირითადი აქტივობა, კერძოდ:

,,ნარინჯისფერი კვირეულის გახსნა"-სთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 25 ნოემბერს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმძღვანელებთან გაიმართება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა - ოჯახში ძალადობის, ქალთა უფლებრივი მდგომარეობისა და ადრეული ქორწინების საკითხების შესახებ. საინფორმაციო შეხვედრა განხორციელდება ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალთა ოთახის ინიციატივით პროექტის „ერთად ქალთა და გოგონათა უფლებებისთვის" ფარგლებში. აღნიშნულ შეხვედრაზე მოწვეულია სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკი, შეხვედრის ბოლო იქნება კითხვა-პასუხის სესია.

- საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა დაიგეგმა შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელიც გაიმართება 1 დეკემბერს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში.

- 4 დეკემბერს დაგეგმილია ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სამიზნე ჯგუფია შშმ დღის ცენტრი „თებე" და ორგანიზაცია ა(ა)იპ ხედვა, ზრუნვა. მხარდაჭერა ღონისძიების ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ განხორციელდება სტუმრობა ორგანიზაცია „თებე"-სა და ორგანიზაცია (ა(ა) იპ „ხედვა, ზრუნვა. მხარდაჭერა"-ში.

- 10 დეკემბერს ვგეგმავთ „ნარინჯისფერი კვირეულის დახურვა"-ს და წიგნის ,,ბორჯომის საპატიო მოქალაქეები"-ს პრეზენტაციას. ღონისძიება მასშტაბური ხასიათის იქნება, მონაწილეობას მიიღებენ კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ანსამბლები „ფერხისი" და „იმედი", ასევე ქორეოგრაფიული ანსამბლი „მერმისი", ბორჯომის სამუსიკო სკოლასთან არსებული ანსამბლი „ოქტავა", კულტურის ცენტრთან არსებული ვაჟთა ანსამბლი „ბორჯომი". ღონისძიების ბოლოს ქალაქ ბორჯომის საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეები ნარინჯისფერი კვამლის ფონზე ნარინჯისფერ ჰელიუმის ბუშტებს სიმბოლურად გაუშვებენ კოსტავას მოედნიდან და ამდაგვარად გაუგზავნიან შეტყობინებას მსოფლიოს - „არა ძალადობას".

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

# ბორჯომში საპარკინგე ადგილების სიმცირეა

**საკუთარი ავტომობილით გადაადგილება რამდენადაც კომფორტულია, იმდენად დისკომფორტს გვიქმნის გამუდმებით საპარკინგე ადგილების ძებნა.**

ცენტრალურ ქუჩებზე, ახალი საპარკინგე ადგილების შესაბამისი რეგულაციებით დახაზვამ და ნიშნულების გაჩენამ არა თუ აღმოფხვრა, პირიქით, ადგილების რაოდენობა შეამცირა და კიდევ უფრო მეტად გაამწვავა პრობლემა. იმედის სხივად მივიჩნევდი ჩიხებში შესვლის შემდეგ ავტომობილის გასაჩერებელი ადგილის მარტივად ნახვას, მაგრამ ბოლო თვეებია ეს იმედიც სადღაც გაქრა. მანქანის დასაყენებლად ჩიხებშიც კი ძნელად მოიძებნება ადგილი. აღარაფერს ვამბობ, ზაფხულში ცხელი სეზონის პერიოდში, ფაქტიურად, შეუძლებელია ცენტრალური ისტორიული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მანქანის გასაჩერებლად ადგილი მოძებნო. კერძო ბიზნესის წარმომადგენლების ღია და დახურული ავტომობილები ყველაზე ნაკლებად იძლევა ამის საშუალებას.

სასიხარულოა ის, რომ როგორც ადგილობრივებისათვის, ასევე სტუმრებისათვის ბორჯომში ავტომობილებისთვის პარკინგი სრულიად უფასოა. მადლობას განსაკუთრებით ამბობენ ქალაქის სტუმრები, თუმცა მადლიერების გრძნობაზე მეტად მათ სახეზე გაკვირვებას უფრო შენიშნავთ.

გაოცებულები კითხულობენ, როგორ, ბორჯომში პარკინგი უფასოა?! უფასოა, მაგრამ მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობაა მანქანების სადგომად გათვალისწინებული.

პრობლემა დღითიდღე მწვავდება ჩვენ გარშემო და მოცემული რეალობაა, რომ მანქანების სიმრავლეც ყოველდღიურად იზრდება.

ჩვენც ფეხს ვუწყობთ აჩქარებულ, ქაოსურ გარემოს, რომელშიც ავტომობილი ფუფუნების საგანს ნამდვილად არ წარმოადგენს. თუ მუშაობ, რეალურად გეხმარება დროისა და ენერგიის დაზოგვაში და წუთების რაციონალურად, სწორად გამოყენებაში.



ამ ფონზე ნამდვილად ვისურვებდი ჩვენს მწვანე ქალაქში ველობილიკებს, სწორად დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ და კეთილმოწყობილ ქუჩებს, რომელიც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და შესაძლებლობას მოგვცემს, შედარებით მსუბუქად, მშვიდად ვაკეთოთ ჩვენი საქმე.

პირობითად, ავტომობილი რომ არ მყავდეს, ყოველ დილით წარმოუდგენელი იქნებოდა, ვყოფილიყავი 9-საათზე გაკვეთილზე, რადგან 9 საათზე არც ერთი საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არის ბაკურიანში, გარდა სამარშრუტო ტაქსებისა, რომელთა გადაადგილება მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა მგზავრობის რაოდენობას უკავშირდება, „ერთი კაცი და გავდივარ"... პრინციპით.

ამიტომ ავტომობილის ყოლა არ ნიშნავს ფუფუნებას, ეს ცხოვრების აუცილებლობისთვისაა საჭირო. საქმეს, რომელსაც აკეთებ, ბევრად გიმსუბუქებს და გიზოგავს დროს, რადგან ტრანსპორტის ცდაში იკარგება დიდი დრო მაშინ, როდესაც დრო შემცირებულია და ცხოვრება დაჩქარებული.

ამიტომ თანამედროვეობას უნდა შეეწყოს ინფრასტრუქტურა და საცობში დგომა კი არა, ისე უნდა იყოს დაგეგმილი და გაწერილი ქალაქის განვითარებისთვის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომ საპარკინგე ადგილების ძებნა არ გვიწევდეს.

მომავლის ბორჯომში ცხოვრებას გისურვებთ.

**იზა იანვარაშვილი**

პოლიტიკური არჩევანი

# ცილისწამება დანაშაულია

**სამწუხარო რეალობაში გვიწევს ცხოვრება, მაშინ როდესაც ცილისწამება დანაშაულად არ მიაჩნია საზოგადოების უმრავლესობას. სიტყვიერ შეურაცხყოფას არავითარ დანაშაულად არ თვლიან, როგორც პოლიტიკური შეფასებებისას, ასევე პირადი საუბრისას, სატელევიზიო სივრცეებში გამოხატული აგრესიისადმი პოლიტიკური შეხედულების გამო, ჩვეულებრივ ამბად აღიქვამს მთქმელი, გამგონი და პიროვნება, რომლის მიმართაც მიმართულია ცილისწამება.**

საბოლოოდ ვიღებთ გაუაზრებელ, შეურაცხმყოფელ, ყოველგვარ ზღვარგადასულ სიტყვების კორიანტელს, რომლებსაც ქმედებებიც თუ დაერთო თან, პირდაპირ ეთერში შესაძლებელია შოუს მონაწილეები გავხდეთ და მხარესაც ვუგულშემატკივროთ. შემდეგ გაუთავებლად იტრიალოს სოციალურ ქსელში სიტყვებმა, კადრებმა, რომლებსაც ათასობით გამოხმაურება ექნება მხარეთა ლანძღვა-გინებით შემოფარგლული, გამართლებული არგუმენტებითა და ურყევი მოსაზრებებით.

ყველაზე ამაზრზენი, აღნიშნულ ფაქტებში იუმორის სახელით გამოქვეყნებული ფოტო და ვიდეო ამბებია. გამართლება იუმორის სახელით კარგად ნაპოვნი გამართლებაა. მაგრამ საკმარისია? სადღაც ხომ უნდა არსებობდეს ზღვარი. ამდენ ადამიანს თუ ასეთი სიბინძურით შეუძლია გამოხატოს სათქმელი და არ დაიცვას ურთიერთობისათვის ელემენტალური წესები, საერთოდ რაზე გვაქვს საუბარი?! რისი ამბიცია შეგვიძლია გვქონდეს?! რას ვაჩვენებთ სხვა ერებს?! დაფიქრდი სანამ იტყვი, რეალურად სად ჩანს სახე?!

საიდან მოდის ამდენი აგრესია?! - საშინელებაა ერთმანეთს აფურთხოთ და შემდეგ ისევ თვალი გავუსწოროთ, თავი მოგვქონდეს სამშობლოს გადასარჩენად გაერთიანების მიზნით.

პოლიტიკური კულტურის დეფიციტი გვაქვს სამშობლოში, ვფიქრობ, დალაგების ნაცვლად თანდათან უფრო ღრმავდება ამ მხრივ პრობლემა ადამიანურ ურთიერთობებშიც.

დღეს ასწავლიან, რომ სანამ გადაწყვეტილებას მიიღებ „შეჩერდი-დაფიქრდი-იმოქმედე"! აღარ ვიცი, აღნიშნული უსწავლელობას დავაბრალო თუ შინაგან უკულტურობას, რომელიც გაფიქრებინებს სოციუმში მოქცევის წესების პირდაპირ უგულებელყოფას, როდესაც თავისუფლების ცნება ვაკხანალიაში გადადის და ეძებ, იპოვო საფუძვლიანი გამართლება, ქცევისა და ემოციების მართვა, შინაგანი რეგულაციით მიიღწევა, რაც გაქვს ან არ გაქვს. არც კი ფიქრობ, რომ შენგან უმისამართოდ ნასროლი სიტყვები შეურაცხმყოფელია და ცილისწამება დანაშაულია. ასეთი ქცევების კადრება ნებისმიერს არ შეუძლია და ვისაც როგორ შეუძლია ისე ღაღადებს მისეულ სიმართლეს.

არჩევანის გამო გაუთავებელი შუღლის



თესვა სამშობლოს სიყვარული არა მგონია. გაუთავებლად ერთმანეთის დამცირება და თითის გაშვერა პრობლემას არ აგვარებს, უფრო ამწვავებს. ყველა მოვლენას პოლიტიკურ ელფერს რომ მისცემ და ჭიანჭველას სპილოდ აქცევ, ეს ჰგონიათ სამშობლოს ინტერესების დაცვა. იმედის თვალით შევხედავ, რას ვიზამთ, ინდივიდუალიზმს ვერავის დავუკარგავთ! ეს საჭირო და აუცილებელიცაა ჩვენს დროსა და სივრცეში.

იმასაც უნარი სჭირდება, რომ ერთ წინადადებაში 10 ცილისწამების ფაქტზე დაწერო და საზოგადოების ნაწილი ამაში კოორდინირებულად დაარწმუნო.

**იზა აპნისელი**

## ნიჭიერი თაობა

# ყველაზე მეტად გალაკტიონი მიყვარს



**იაკობ ნაკაშიძის მიერ წაკითხული ლექსი პირველად 9 აპრილისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მოვისმინე, რომელიც ტრენინგ ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა. ათი-თერთმეტიოდე წლის ბიჭუნამ თავისი ომახიანი ხმით წამშივე მოხიბლა მსმენელ-მაყურებელი. აღფრთოვანებული და ამაყები ვისმენდით ბორჯომში მცხოვრები, პირადად ჩემთვის და ალბათ ბევრისთვის, მაშინ უცნობი ბიჭის მიერ წაკითხულ პატრიოტულ ლექსს. მახსოვს, დამსწრეთაგან რამდენიმე პედაგოგმა ერთმანეთს ისიც გადაულაპარაკა, - ნეტავ, ჩემი მოსწავლე იყოსო. შემდეგ იყო ანსამბლ ,,მერმისის" სოლო კონცერტზე მის მიერ წარმოთქმული სტრიქონები და სულ ცოტა ხნის წინ სალოტბარო სკოლის პედაგოგის, ქალბატონ ლელა მუხურაძის ატვირთული ვიდეო, სადაც იაკობი ხალხურ ლექსს კითხულობს. უამრავი მოწონება ხვდა იაკობის ვიდეოს. ვიფიქრე, რომ ამ უნიჭიერეს ბიჭს ჩვენი გაზეთის მკითხველიც აუცილებლად უნდა იცნობდნენ და სიამოვნებით გიზიარებთ იაკობთან და მის დედიკოსთან, ხატია ხუციანიძესთან ინტერვიუს. დავამატებ იმას, რომ ჩემდა გასაოცრად, 11 წლის იაკობი, თავის ასაკთან შედარებით საოცრად კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა, რომელიც ზრდასრული ადამიანივით პასუხობდა ჩემ მიერ დასმულ შეკითხვებს.**

**მაშ ასე, სიამოვნებით გიზიარებთ ინტერვიუს:**

**● გაგვეცანი, ვინ არის იაკობ ნაკაშიძე?**

- მე ვარ იაკობ ნაკაშიძე, 11 წლის, ვსწავლობ ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მეექვსე კლასში.

**● გარდა იმისა, რომ ლექსებს შესანიშნავად კითხულობ, კიდევ რისი კეთება მოგწონს ყველაზე მეტად?**

- ძალიან მიყვარს მათემატიკა, სიმღერა, ვარ სალოტბარო სკოლის მოსწავლე, ასევე ანსამბლ ,,მერმისის" მოცეკვავე, ტრენინგცენტრის მოსწავლე, სადაც მეოთხე კლასიდან დავდივარ.

**● მე პირადად, პირველად 9 აპრილთან დაკავშირებით ჩატარებულ ღონისძიებაზე მოვისმინე შენი ლექსი, თუ შეიძლება რომ მკითხველებსაც წაუკითხო?**

-კი,ს დიდი სიამოვნებით:

*მე სიკვდილს სიმღერით შევაშინებ,*
*ბგერით მოვერევი იარას,*
*საქართველოს მკვიდრად დავიბადე,*
*სადმე ცხრა მთას იქით კი არა,*
*მარტო ჩვენ ვმღერივართ ლილეოს,*
*საოცრად გვიხდება ჩოხები,*
*მადლიან მიწაზე დავიბადეთ,*
*მკვდარიც ამ მადლითვე ვცხონდებით.*
*სხვა ვერავინ იტყვის ქართველივით,*
*ჭარგას მოუთხარე ძირიო,*
*გადი–გამოდი გუთანო და..*
*მხრებო აილესეთ პირიო,*
*ქართული სიმღერა გადაგვარჩენს,*
*უბადლო ფოკლორის გენია,*
*ჩაკრულოს კაცურად მღერიან და*
*შავო მერცხალოც ჩვენია.*
*ტკივილებს სიმღერით მოვერევი,*
*მოვიწმენდ სისხლიან იარებს,*
*მარტო ჩვენ ვიცეკვეთ განდაგანა,*
*წინწყაროც ჩვენ ჩამოვიარეთ,*
*ქვეყნად სხვა არაფერს ვინატრებ,*
*არ მინდა პატივი, სახელი,*
*ყველაზე ძვირფასი განძი მაქვს,*
*ვარ ერთი პატარა ქართველი!*

**● მოდი, დედასაც ვკითხოთ შენს შესახებ. როგორი ბიჭია იაკობი და როდის შენიშნეთ, რომ ლექსების მარტივად შესწავლა შეეძლო?**

ხატია ხუციანიძე, იაკობის დედა: - ძალიან ცელქია, თუმცა არის უზომოდ თბილი და შრომისმოყვარე. წარჩინებული მოსწავლეა. საბავშვო ბაღში როდესაც დადიოდა, მაშინაც მარტივად იმახსოვრებდა, თუმცა პირველი კლასიდან, მას შემდეგ, რაც კლუბ ,,მთიების" წევრი გახდა, ცდილობს, რომ ყველა ლექსი მხატვრულად წაიკითხოს. მეც ხელს ვუწყობ მაქსიმალურად.

**● დედამ კლუბი ,,მთიები" ახსენა და შენ რომ მოგვიყვე კლუბზე, რას საქმიანობთ, რას აკეთებთ?**

- პირველ კლასში ვიყავი, როდესაც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მივედი, სადაც გავიცანი ციური გელაშვილი, რომელიც ლიტერატურულ კლუბ ,,მთიების" ხელმძღვანელია და სწორედ ციური მასწავლებელთან მისვლის შემდეგ გამიჩნდა სურვილი, რომ ლექსები მესწავლა. სხვადასხვა მნიშვნელოვან დღეებთან დაკავშირებით ვდგამთ პატარა სპექტაკლებს, სადაც ჩემ მეგობრებთან, კლუბის წევრებთან ერთად ვმონაწილეობ. ვაპირებთ დავდგათ დავით აღმაშენებლის სცენა, ასევე უკვე ჩავატარეთ ილიას, გალაკტიონის შესახებ ღონისძიებები, ღონისძიება მივუძღვენით მასწავლებელს და ა.შ.

**● იაკობ, ამ ხუთი წლის მანძილზე თუ დაგითვლია დაახლოებით რამდენი ლექსი იცი ზეპირად?**

- ასე ზუსტად არ მახსოვს. ვიცი 14-15 სტროფზე მეტი რაოდენობის დაახლოებით 20-მდე ლექსი და დანარჩენი უფრო მცირე მოცულობის ლექსები.

**● ტრენინგ ცენტრში როგორ მოხვდი? რას საქმიანობთ, რითი ხართ დაკავებული?**

- კრეატიული აზროვნების ჯგუფში ვსწავლობ მეოთხე კლასიდან. ვწერთ სხვადასხვა თემებს, ვკითხულობთ, ვმსჯელობთ. სწორედ ტრენინგ ცენტრის დამსახურებით გავხდი უფრო მეტად თავდაჯერებული.

**● ქართველი პოეტებიდან რომელია შენთვის გამორჩეული პოეტი?**

- ყველაზე მეტად გალაკტიონი და გიორგი ლეონიძე მიყვარს. მათი შემოქმედება ყველაზე მეტად მომწონს.

**● სალოტბარო სკოლაზეც მომიყევი. რამდენი წელია რაც მღერი და როდესაც ლელა მასწავლებელმა ვიდეო დადო, რომელ ლექსს კითხულობდი? კომენტარების ნახვისას რა ემოცია გქონდა?**

- თავდაპირველად ვმღეროდი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში პედაგოგ თამარ კუჭაძესთან. რამდენიმე წლის წინ კი ციური გელაშვილმა მირჩია, რომ სალოტბარო სკოლაში მივსულიყავი და ასე აღმოვჩნდი იქ. რაც შეეხება ლექსს ,,შემომეყარა ყივჩაღი", ასე ქვია, არის ხალხური, მესხური ვარიანტი. როდესაც ვნახე თბილი კომენტარები, ძალიან გამეხარდა.

**● სალოტბარო სკოლაში შესწავლილი სიმღერებიდან რომელი გიყვარს ყველაზე მეტად?**

- ძალიან მომწონს აჭარული, რაღაცნაირად მხიარულია.

**● სამომავლოდ თუ გიფიქრია მომავალ პროფესიაზე?**

- ძალიან მომწონს მსახიობის პროფესია. მათემატიკაც კარგად ვიცი და ბიზნესმენობაც მიზიდავს, მაგრამ ჯერ საბოლოოდ არ ვიცი, რაზე შევაჩერებ არჩევანს.

**● საუბრის ბოლოს როგორ დაგვემშვიდობები?**

ჩვენს კართან არ გაევლოს
მწუხარებას და სირცხვილს,
ბედნიერება იყოს ყველა ოჯახის მეკვლე,
სიყვარულის წილი იშვას სულ ყველას გულში,
სიყვარულია ღმერთი, ღმერთი
ყველაფრის შემძლე.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

## წიგნის თარო

# საინტერესო ცნობები ბორჯომის ისტორიიდან

რემერტის პარკი კი დღევანდელი მ. კოსტავას სახელობის პარკს ერქვა. (მცირე მოცულობის გამო, ბორჯომლები მას ბაღს ვეძახდით). იგი XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში გაშენდა. ეს პარკი ევროპული პარკების სტილშია გაშენებული, როგორც გეგმარებით, ისე მცენარეთა საფარით. რკინიგზის გაყვანამდე რემერტის პარკი მდინარე მტკვრის სანაპირომდე ვრცელდებოდა.

საბჭოთა პერიოდში ბაღი დატვირთული იყო თაბაშირის ფიგურებით, როგორიც იყო: „პიონერი", „ლენინი", „სპორტსმენი" და სხვა. ბაღის შესასვლელს დასაწყისში ჰქონდა ლამაზი თაღი, ძალიან უხდებოდა კურორტ-ქალაქს და რომელიც XX საუკუნის 80-იან წლებში, თბილისიდან ბორჯომს მოვლენილი რაიკომის ერთ-ერთი მდივნის კაპრიზით ჩამოანგრიეს.

მიხეილ რომანოვის სასახლის
მდიდრული პარკი

ეს პარკი მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სასახლის წინ. პარკი სასახლის შენების პარალელურად გააშენეს, რისთვისაც ტყე შერჩევით გაკაფეს და დარგეს დეკორატიული მცენარეები, ფანჩატურებითა და ულამაზესი შადრევნებით, მოხერხებული საბალე სკამებით დამშვენებული. ამ პარკში იყო: სასმელი მტკნარი და მინერალური, აგრეთვე გოგირდოვანი წყლები. პარკის წინ გადიოდა ცენტრალური ქუჩა, სახელწოდებით ,,ნაბერეჟნაიას ქუჩა". დღეს ამ პარკში ომში დაღუპულთა მემორიალიც გვაქვს.

ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვის სასახლის, ლიკანის პარკი კი დღემდე ბორჯომში ყველაზე უფრო კარგად შემონახული პარკია. აქ ჯერ დიდგვაროვან ნიკოლოზ რომანოვის აგარაკი იყო და შემდეგ საბჭოთა კავშირის დროს - სანატორიუმი და საპატიო სტუმართა მისაღები რეზიდენცია.

სასახლის პარკის პროექტის ავტორები და დამგეგმარებლები იყვნენ ა.ე. რეგელი და ვ. რამი (ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ პარკის მოვლაზე ზრუნვა გააგრძელა მისმა შვილმა კ.რამმა, რომელიც საცხოვრებლად ბორჯომში დარჩა) სხვათაშორის, რეგელის დაგეგმარებულია წინანდლის პარკიც.

**ლიკანის პარკში** დღესაც ხარობს უნიკალური ხე-მცენარეები. ნიკოლოზ რომანოვმა ლიკანი შემოღობა მტკვრის გასწვრივ, 70 კვადრატულ კილომეტრის ფართობზე, ეს იყო რომანოვების ნაკრძალი, სადაც მოამრავლეს გარეული ცხოველები, რომლებსაც სპეციალურად იცავდნენ დაქირავებული ეგერები.

რომანოვების სასახლის ეზოს ხელოვნური ტბაც ამშვენებდა - წეროებით, გედებით, იაპონური ჯიშის ქათმებით. სწორედ ამით ჩაეყარა საფუძველი ბორჯომის ნაკრძალად მოხსენიებას, ესოდენ საამაყო და სასარგებლო რომაა დღეს ხეობელებისათვის.

დღეს სწორედ არსებულ ნაკრძალის ბაზაზე ხეობაში გვაქვს კიდევ ერთი ტყის რეზერვუარი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკად წოდებული, რომელიც ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდმა, WWF-მა ჩვენ ხეობაში მონიშნა.



**კავკასიის მთავარმმართველები**

**რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს მმართველებს 1801 წლიდან, ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიიდან 1844 წლამდე და 1882-1905 წლებში. 1844-1905 და 1905-1917 წლებში კავკასიას მართავდა მეფისნაცვალი.**

1801-1802 კარლ კნორინგი
1802-1806 პავლე ციციანოვი
1806-1809 გრაფი ივანე გუდოვიჩი
1809-1811 ალექსანდრე ტორმასოვი
1811-1812 ფილიპ პაულუჩი
1812-1816 ნიკალაი რტიშჩევი
1816-1827 ალექსეი ერმოლოვი
1827-1831 გენერალ-ფელდმარშალი ივანე პასკევიჩი
1831-1837 გრიგოლ როზენ პირველი
1837-1842 ევგენი გოლოვინი
1842-1843 ალექსანდრე ნეიდგარდტი
1844-1854 მიხეილ ვორონცოვი
1854-1856 ნიკოლოზ მურავიოვი
1856-1863 ალექსანდრე ბარიატინსკი
1863-1881 მიხეილ რომანოვი
1861-1890 ალექსანდრე დუნდუკოვ-კორსაკოვი
1890-1897 სერგეი შერემეტიევი
1897-1904 გრიგოლ გალიცინი
1905-1915 ილარ ვარანცოვ-დაშკოვი
1916-1917 ნიკოლოზ რომანოვი
(ნიკოლოზ I-ის შვილიშვილი)

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი ,,ბორჯომი" №45,46, 47, 2024წ.**

## ბორჯომის ქუჩათა სახელები XIX,XX და XXI საუკუნეში

| რომანოვების დროს | საბჭოთა ეპოქა XX საუკუნე | დღეს- XXI საუკუნე | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| სასახლის სახ. სანაპირო | კიროვის ქუჩა | რუსთაველის ქუჩა | ხიდიდან ქვემოთ, მტკვრის დინების მიმართულებით |
| ახალციხის ქუჩა | მესხეთის ქუჩა | მესხეთის ქუჩა | ხიდიდან აღმა მტკვრის დინების საწინააღმდეგოდ |
| ზაშოსენაია | გაგარინის ქუჩა | გოგიასციხის ქ. | |
| ბაზარნაია | ჩაიკოვსკის ქუჩა | წმ. ნინოს ქუჩა | |
| რემესლენნაია | ინტერნაციონალის | ფიროსმანის ქ. | |
| ოლგას სახ. სანაპირო | გზა-ფაფისკენ | გრ.რობაქიძის ქ | სანაპირო ქუჩა |
| ნიკოლოზის სახ. ქ | შ.რუსთაველის ქ. | ნ. დუმბაძის ქ. | |
| მიხაილის სახ. ქუჩა | მახარაძის ქუჩა | კ.გამსახურდიას | |
| გოფმაისტერის ქუჩა | პარიზის კომუნის, სტალინის, ლენინის | მერაბ კოსტავას ქუჩა | |
| სერგოს სახ. ქუჩა | ჯორჯაძის ქუჩა | ჯორჯაძის ქუჩა | |
| მიხაილოვის სახ. სანაპირო | ლუქსემბურგის ქ. | ერეკლეს ქუჩა | სანაპირო ქუჩა |
| ანასტასიას ქუჩა | ორჯონიკიძის ქუჩა | 9 აპრილის ქუჩა | სანაპირო ქუჩა |
| პარალელური ქუჩა | ბორჯომის ქუჩა | გ.ორბელიანის | |
| ნიქნატერასნაია | მოლოტოვის ქ. | ბურამიშვილის | |
| ტოლსტოვის | აკაკის ქუჩა | აკაკის ქუჩა | |
| ბროტოვის ქუჩა | შრომის ქუჩა | შრომის ქუჩა | |
| რედინბეროვსკის ქუჩა | მ.გორკის ქუჩა | მ.გორკის ქუჩა | |
| ვინრო ქუჩა | შრომის II შესახ. | აბრამიშვილის ქ | |
| ალექსანდრეს სახ. ქუჩა | ჯაფარიძის ქუჩა<br>მოსკოვის ქუჩა | ინგოროყვას ქ.<br>მანჯგალაძის ქ | |
| ვერხნეტერასნაიას ქუჩა | თორის პლატო | ბურამიშვილის ქ | |
| პრედგორნიას ქუჩა | მთის ქუჩა | მთის ქუჩა | ღიდი მინდორი |
| ურუსოვსკაიას ქუჩა | | ბარათაშვილის | |
| ვორონცოვის ქუჩა | | პლატოს აღმართი | |
| გიორგის ქუჩა | ი.ჭავჭავაძის ქუჩა | ი.ჭავჭავაძის ქ. | |
| პსარნია | ბერძნების ქუჩა | ვაჟა-ფშაველას | |

მინერალური წყლის წარმოების განვითარებამ, რკინიგზის ხაზის მშენებლობამ, ინტენსიურმა განაშენიანებამ, პარკების, ხიდების, ქუჩებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობამ დასაბამი მისცა ბორჯომს, რომ საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით განსხვავებული ყოფილიყო.

ბორჯომის ევროპულ ქალაქად ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვით მამა-შვილს მიხეილ და ნიკოლოზ რომანოვებს. აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ მათზე უფრო დიდი ინვესტორი ჩვენს ხეობას დღემდე არ ჰყოლია!

XIX საუკუნის ბორჯომში განხორციელდა დიდი სამუშაოები ტექნიკურ-სამეცნიერო, სამშენებლო, სამეურნეო და სხვა დარგებში, რომელთა შესრულების ხარისხიანობაზე მეტყველებს ისეთი სახელების ხსენება, როგორებიცაა: ეიფელი, მოლდენჰაუერი, სიმენსი, ზალცმანი, ბილფელდი, ბენუა, შრეტერი, გ.სტრუვი, პ.ვინოგრადოვ-ნიკიტინი, შენგარდტი, ანდრეევსკი, რემერტი, ზაზემანი, შვეიერი და მრავალი სხვა. ეს კორიფეები ევროპიდან სწორედ რომანოვებმა მოიწვიეს.

**მარიკა გელაშვილი**
**(გაგრძელება იქნება)**

### პოეზიის კუთხე

## ღმერთო გემუდარები



მარტოობა სულისა
ტანჯვა არის გულისა,
ყოველ სიხარულისა,
ყოველ სიყვარულისა.
ისედაც წუთისოფელში,
ცოდვილების ბუდეში,
მარტოობა ცუდია
ნებისმიერ კუთხეში.
ღმერთო გემუდარები,
ნუთუ არ გებრალები,
მიმრავლე, მიდღეგრძელე
ახლო ნათესავები.
მარტოობით ნუ მტანჯავ,
ცეცხლს ნუ მინთებ ფეხთითა,
მაცოცხლე, მადღეგრძელე,
კეთილ ხალხის გვერდითა.
კეთილ ხალხის გვერდითა.
მარტოდმარტო ნუ დამტოვ,
ჩემ უბედურ თავთანა,
ფიქრის, ჯავრის, დარდისა,
მწუხარების ზღვართანა..
თუ მაცოცხლებ, მაცოცხლე,
ჩემ საყვარელ ხალხთანა,
უდროოდ ნუ მიმიყვან
საიქიოს კართანა.

**გურამ-ქუნცელი-ივანიძე**,
საქართველოს ჟურნალისტთა
შემოქმედებითი კავშირის წევრი.

## ნუ დუმხარ უფალო...

კვლავ აირია ქვეყანა,
უფალს კი დიდი დარდი აქვს,
ეტრფიან აკრძალულ ნაყოფს,
ცოდვას-ცოდვაზე სჩადიან.
თავისუფლებას ეტრფიან,
აღარ ითვლება ცოდვადა,
კაცი რომ კაცზე თხოვდება,
ქალს-ქალი მოჰყავს ცოლადა.
ლელვის ფოთოლით დაიწყო
და მოდამ თავი აიშვა,
კაცებმა კაბა ჩაიცვეს,
ქალები შარვლით დავდივართ.
მოდა გამხდარა სიშიშვლე
და თავს იწონებს მომგონი,
სასირცხვოს დასაფარავად
აღარ სჭირდება ფოთოლი.
გოიმობაში გითვლიან,
მოხუცს თუ პატივს მიაგებ,
სექსზე თუ არ იტრაბახე,
სინდისს ქვა თუ არ მიაგდე.
ოქროს და ვერცხლის
მოყვარულთ
განგაში აუტეხიათ,
მადა ჭამაში მოდისო,
სახელი გაუტეხიათ.
აღვირახსნილნი ხმამაღლა
ქადაგებენ და ყვირიან,
დაქცევა უნდათ ქვეყნისა
და უსამართლოდ ჰკივიან.
თემში დიდსა და პატარას,
უკვე აღარ აქვს საზომი,
უფალსაც მოთმინება აქვს,
მგონი ჩაირთო წამმზომი.
ძალა წაართვი სატანას,
ეგეც ხომ შენი ვალია,
კაი ხანია მიწაზე
ტრიალებს ცოდვა-ბრალია.
მსურს და იმედიც მამხნევებს,
არ მიგვატოვებ უფალო,
ქვეყანა გადაარჩინე,
კაი ხანია დუმხარო.

**იზო სარქისიანი.**

# წიგნები ნეგატივის სამკურნალოდ

ბოლო პერიოდია, ჩემს ყურადღებას იპყრობს ახალი ტენდენცია, რომელიც ყოველდღიურობაში დამკვიდრდა და თქვენ წარმოიდგინეთ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს ყოველივე საშუალო ასაკის ადამიანებიდან მოდის. შეხვალ სოციალურ ქსელში, ფეისბუქისა თუ ტიკ-ტოკის გვერდზე და იქ, უხამსი სიტყვებით გაჯერებული ვიდეობის წყებას უხვად შეხვდებით. განურჩევლად სქესისა თუ ასაკისა, ადამიანები, ყოვლად წარმოუდგენელი, უწმაწური სიტყვებით ლანძღავენ მავანთ. პოლიტიკური ნიშნითა თუ უბრალოდ ვიღაც რომელიმე კონკრეტული პიროვნების მიმართ ანტიპათიით განწყობილი ადამიანების რიცხვი უკვე საკმაოდ მრავლადაა. არც ცნობილი ადამიანები ამბობენ უარს უხამს სიტყვებსა და არაეთიკურ მიმართვებზე. ის კი არადა, რამდენიმე დღის წინ, სასულიერო პირისაგან გამიკვირდა, რომელიც საქართველოში საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა, თანაც უაღრესად განათლებული შემოქმედიც, რომელსაც არც სიტყვა-პასუხი უჭირს და სწორედ მან, საკმაოდ ცნობილი მსახიობი ქალბატონის ვიდეო ატვირთა თავის გვერდზე, სადაც ის ქალბატონი რუსთაველზე გამართულ ოპოზიციის აქციაზე დგას და ჟურნლისტთან უხამსი სიტყვებით მოიხსენიებს ჩვენი ხელისუფლებისა და ქართული საზოგადოების ,,რუსეთთან მეგობრობას“. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული მსახიობი ქალბატონი, უზრდელი და უხამსი სიტყვებით ყოველთვის გამოირჩევა და თანაც, ის ამ ყველაფერს არც საკუთარ პირად გვერდზე და არც საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში არ ერიდება.



კი მაგრამ, რატომ უნდა ცდილობდნენ ადამიანები, რომ რაც შეიძლება მეტი ბილწსიტყვაობისა და ყოველივე ნეგატივის პოპულარიზაცია მოახდინონ? ხომ შეიძლება რომ პირიქით იყოს? ნუთუ არ შეიძლება, რომ თითოეული ჩვენგანი ვცდილობდეთ, რომ რაც შეიძლება მეტი პროპაგანდა გავუწიოთ მეტად პოზიტიურ აზროვნებასა და ქართულად გამართულად, გრამატიკულად საუბარს? საუკეთესო შემთხვევაში კი წიგნების კითხვასა და შემდეგ იქ დაწერილის შესახებ მსჯელობას?

სამწუხაროდ, დღეს როდესაც XXI საუკუნეში ყველაფერი ხელმისაწვდომია და ამ ყველაფერს ბავშვები უყურებენ და ბავშვებისთვის სწორედ უფროსები არიან მაგალითის მიმცემნი, უმეტესწილად, ნეგატივის მეტს ვერაფერსაც ველარ ხედავენ. ყველგან, ყველა სივრცეში, ეს იქნება სოციალური ქსელი, მედია საშუალებები, საგანმანათლებლო სივრცეები თუ უბრალოდ ქუჩაც კი, მეტი ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო წიგნის მნიშვნელობისა და რაც მთავარია, კარგ მკითხველად ჩამოყალიბებისათვის. შეხსენებისათვის კი ჩვენ მკითხველებს დაგიტოვებთ მეტად საინტერესო ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის საჭირო და მნიშვნელოვანი წიგნების კითხვა და რატომ უნდა იყოს წიგნი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი.

წიგნი არის:

**1. ცოდნის გზატკეცილი:**
წიგნები გვთავაზობენ ცოდნის უზარმაზარ რეზერვუარს პრაქტიკულად ნებისმიერ თემაზე. ჩაიძირეთ ისტორიაში, მეცნიერებაში, ფილოსოფიაში...

**2. გაძლიერებული ლექსიკა:**
რეგულარული კითხვა გიჩვენებთ ლექსიკის უფრო ფართო სპექტრს, აუმჯობესებს თქვენს კომუნიკაციის უნარს და გაგებას.

**3. მეხსიერების გაძლიერება:**
კვლევებმა აჩვენა, რომ კითხვა დაგეხმარებათ მეხსიერების და შემეცნებითი ფუნქციების გაუმჯობესებაში, თქვენი გონების აქტიურობისა და ჩართულობის შენარჩუნებაში.

**4. სტრესის შემცირება:**
კარგი წიგნის წაკითხვა შესანიშნავი საშუალებაა დადებით ემოციებზე გადასართველად და ყოველდღიური რუტინისთვის თავის ასარიდებლად.

**5. გაუმჯობესებული ფოკუსირება და კონცენტრაცია:**
დღევანდელ სამყაროში, რომელიც სავსეა უარყოფითი ემოციებით, კითხვა გააძლიერებს კონცენტრირების უნარს.

**6. თანაგრძნობა და პერსპექტივა:**
გამოგონილი პერსონაჟები საშუალებას გაძლევთ განავითაროთ თანაგრძნობა და მიიღოთ უფრო ღრმად გააზრებული სხვადასხვა პერსპექტივები.

**7. გაძლიერებული კრეატიულობა:**
კითხვა გააჩენს ახალ იდეებსა და გააღრმავებს აზროვნების პროცესებს, რაც პოტენციურად აძლიერებს თქვენს კრეატიულობას და პრობლემების გადაჭრის უნარს.

**8. წერის უფრო ძლიერი უნარები:**
კარგად დაწერილ პროზაში ჩაძირვამ შეიძლება გააუმჯობესოს თქვენი წერის სტილი, წინადადების წყობის სტრუქტურა და საერთო კომუნიკაციის სიცხადე.

**9. გაუმჯობესებული ძილის ხარისხი:**
ძილის წინ შეცვალეთ ეკრანის დრო წიგნით. კითხვა დაგეხმარებათ, გქონდეთ დამშვიდებელი განწყობა, დაგეხმარებათ დაისვენოთ და განიტვირთოთ, რაც ხელს უწყობს ძილის უკეთეს ხარისხს.

**10. ახალი სამყაროს პორტალი:**
წიგნები გამოგზაურებენ სხვადასხვა დროს, ადგილას და რეალობაში. განიცადეთ ამაღელვებელი თავგადასავლები, ისტორიული მოვლენები ან ფანტასტიკური მოგზაურობა.

**11. უწყვეტი სწავლა და აზროვნება:**
კითხვა არის უწყვეტი სწავლისა და საკუთარი თავის აღმოჩენის გზა. ყოველთვის არის რაღაც ახალი სასწავლი, მიუხედავად თქვენი ასაკისა და ინტერესებისა.

**12. საუბრის დამწყები:**
წიგნები შეიცავს თემების საგანძურს საუბრისთვის, ხელს უწყობს კავშირებს და დისკუსიებს სხვებთან.

მოამზადა **ნატო მელიქიძე**

### ცხადდება კონკურსი

## „ბორჯომის ზღაპრული ფერები“

ამ დევიზით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილება, გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია და საზოგადოება „ბორჯომელები“ 10 დეკემბრისათვის აწყობენ გამოფენას დევიზით „ბორჯომის ზღაპრული ფერები“.

მხატვრული ნიჭით დაჯილდოებულებს ვთხოვთ კულტურის განყოფილებაში ან რედაქციაში წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები (ფიტო, ფერწერული ტილო და ა.შ.) მიძღვნილი დევიზის თემაზე.

გამოფენა მოეწყობა კულტურისა და ხელოვნების ცენტრში.

სპეციალური ჟიური საუკეთესო ნამუშევრების ავტორებს წაახალისებს.

**საინიციატივო ჯგუფი.**

## ღონისძიება მიეძღვნა ქეთევან წამებულის ხსოვნას



2024 წელი საქართველოში ქეთევან წამებულის ხსენების წელია. წმინდა დიდმოწამე ქეთევან დედოფლის დაბადებიდან 450 და მისი მოწამეობრივი აღსასრულიდან 400 წელი გავიდა. ქეთევან დედოფლის ხსენებას მიეძღვნა ღონისძიება, რომელიც ბაკურიანის საქალაქო ბიბლიოთეკაში გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორმა, ბაკურიანის საქალაქო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა, ქალბატონმა დარეჯან ბარათელმა და ბაკურიანის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა გაიხსენეს ქეთევან დედოფლის ცხოვრება და მისი მოწამეობრივი აღსასრულის ისტორია, წაიკითხეს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ავტორების შექმნილი ლექსები და ჩანაწერები. ასევე გაიხსენეს ალავერდის ტაძარში მოლოცვის ამბები, სადაც ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილებია დასვენებული, და საიდანაც ძალიან განსხვავებული ამაღლებული სულიერი განწყობით დაბრუნდნენ.

ღონისძიებაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა ქართველი მოწამის დიადი ღვაწლი ჩვენი თვითმყოფადობის, მართლმადიდებლობის და ქართული სულიერების შენარჩუნებაში. „ასეთი პიროვნებების წყალობით მოვედით ეს ერთი მუჭა ქართველები აქამდე!“ - ერთხმად ითქვა აღფრთოვანებით. განსაკუთრებით მისასალმებელი იყო სკოლის მოსწავლეების დასწრება და აღნიშნული თემის ღრმად გააზრება.

**რუსუდან სხირტლაძე**

## ბორჯომის სახალხო თეატრი

## პრემიერისთვის ემზადება




3 და 4 დეკემბერს გიწვევთ ძალიან ფერად, მხიარულ, სანახაობრივ და სახალისო სპექტაკლზე, რომლის იდეის ავტორი **ლუკა ინწკირველია**.

,,ქალაქში უცხო მოვიდა“ ასე ჰქვია სპექტაკლს, რომელსაც მაყურებლის წინაშე ძალიან მალე წარადგენენ.

იდეის ავტორი და რეჟისორი - **ლუკა ინწკირველი.**

სცენოგრაფი - **პეტრე დიასამიძე.**

მსახიობები: **თამარ გელაშვილი, ბაქარ ლომიძე, მარიამ ლომიძე, სალომე მიქელაშვილი, ნიკოლოზ პეტროსიანი, ამირან ქარიბაია, გიორგი ჩოჩნიძე.**

მთხრობელები: **ლიზი ფხიკიძე, ლიზი წიქარიშვილი, ანდრია ხაჩიძე.**

დასაწყისი: 19:00 სთ

ბილეთის ფასი: 10 ლარი.

ბილეთების შეძენა შეგიძლიათ, წინასწარ 26 ნოემბრიდან, კულტურისა და ხელოვნების ცენტრში.

### 25 ნოემბერი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა



25 ნოემბერს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება თემაზე: „არა ძალადობას“.

შეხვედრაზე ძალადობის გამომწვევ მიზეზებზე, ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობაზე, მის პრევენციულ ღონისძიებებზე და ძალადობის შემთხვევების მიმართ მოქალაქეთა პასუხისმგებლობაზე ისაუბრა გაზეთ ,,ბორჯომის” ჟურნალისტმა **ნატო მელიქიძემ**.

აღნიშნულ თემაზე პრეზენტაციის ავტორი გახლდათ №3 საჯარო სკოლის მოსწავლე **ლიზი ადვაძე**.



ახლო მეზობლები: ხვიჩა გოგოლაძე, ბაჩო ტაბატაძე, ომარ კიკაძე, მურმან ლუქუნიძე, ხათუნა მიქელაძე, ნათელა ივანიძე, ზვიად მესხი, მანანა ტაბატაძე, თეა ნიკოლაიშვილი, ლუდა აბდუშელიშვილი, ჟორიკა ბალიანი თანაუგრძნობენ ბერიკა და ქეთი ქურდოვანიძეებს დედის

**გულო სებისკვერაძის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
კორექტორი: ნანა კევლიშვილი